

დიტო გოჩოლეიშვილი

თვალსაჩინო არაბისტი დიტო გოჩოლეიშვილი ეკუთვნოდა ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა იმ თაობას, რომელმაც 1970-იან წლებში ღირსეულად განაგრძო თავისი დიდი მასწავლებლების, აკადემიკოსების: გიორგი წერეთლისა და ვალერიან გაბაშვილის, პროფესორების: ალექსი ლეკიაშვილის, ვლადიმერ ახვლედიანისა და სხვათა დაწყებული საქმე.

დიტო გოჩოლეიშვილმა 1964 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი სპეციალობით “არაბული ქვეყნების ისტორია”. 1965-1969 წლებში იგი სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში “არაბული ქვეყნების ისტორიის სპეციალობით”. 1965-1967 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამხედრო კათედრის უფროს ლაბორანტად. 1967-1969 წლებში ასრულებდა თარჯიმან-რეფერენტის მოვალეობას ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში. ეგვიპტეში მივიღებამ დიდად შეუწყო ხელი დიტო გოჩოლეიშვილს წამყვან პრაქტიკოს-არაბისტად ჩამოყალიბებაში. 1969-1972 წლებში მოღვაწეობდა თბილისის სახ. უნივერსიტეტში არაბული ენის მასწავლებლად. 1972-1974 წლებში ასრულებდა თარჯიმან-რეფერენტის მოვალეობას ერაყში. 1974-1984 წლებში მუშაობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1971 წელს დიტო გოჩოლეიშვილმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1987-1990 წლებში დიტო გოჩოლეიშვილი კვლავ პრაქტიკულ სამუშაოზე არაბულ სამყაროში, ამჯერად სირიაში. არაბული სალიტერატურო ენისა და დიალექტების ღრმა ცოდნა მას საშუალებას აძლევდა წარმატებით ემუშავა არაბისტიკის სხვადასხვა უბანზე. სირიიდან დაბრუნების შემდეგ, 1990 წლიდან 1998 წლამდე, დიტო გოჩოლეიშვილს ეკავა უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. 1993-1998 წლებში იგი მუშაობდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის სემიოლოგიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

1991-1998 და 2000-2005 წლებში დიტო გოჩოლეიშვილი მოღვაწეობდა თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში პრორექტორის თანამდებობაზე. აქ სრულად გამოვლინდა დიტო გოჩოლეიშვილის პედაგოგიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პოტენციალი. მეცნიერი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა სტუდენტთა და თანამშრომელთა შორის. მისი მაღალი პროფესიონალიზმი და კოლეგებთან ურთიერთობის განსაკუთრებული უნარი, განუმეორებელი იუმორი გახლდათ ამის მიზეზი.

განსაკუთრებული იყო აზიისა და აფრიკის ინსტიტუტთან დიტო გოჩოლეიშვილის ურთიერთობა. იგი გახლდათ 1991 წელს ახლად შექმნილი უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი დამაარსებელი და უცვლელი პრორექტორი. მაშინაც კი, როცა საზღვარგარეთ იმყოფებოდა, დიტო გოჩოლეიშვილს მუდმივი კავშირი ჰქონდა აზიისა და აფრიკის ინსტიტუტთან, გულშემატკივრობდა და ეხმარებოდა არაბულ აღმოსავლეთში მყოფ სტუდენტებს.

1991 წლიდან დიტო გოჩოლეიშვილი იყო საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. იგი წარმართავდა ასოციაციის ურთიერთობას არაბული ქვეყნების კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრებთან. ამაში მას ეხმარებოდა არაბული სამყაროს ზედმიწევნით კარგი ცოდნა და პირადი ურთიერთობები არაბ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებისა და კულტურის ცნობილ წარმომადგენლებთან. აღნიშნულ წრეებში სირიაში, ეგვიპტესა და ერაყში, მისი სახელის ხსენებაც საკმარისი იყო, რომ მოგეპოვებინათ არაბების ნდობა და კეთილგანწყობა. ამის მოწმე დიტო გოჩოლეიშვილის არაერთი კოლეგა გამხდარა.

1998-2000 წლებში მუშაობდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში მრჩევლის თანამდებობაზე, სადაც საქართველოსა და ეგვიპტეს შორის განათლებისა და კულტურის სფეროში ურთიერთობის არაერთ სასიკეთო წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი.

2001-2002 წლებში დიტო გოჩოლეიშვილი კვლავ სირიაში მოღვაწეობდა. არაბული სამყარო მისი სტიქია იყო და გული მუდამ არაბული ქვეყნებისკენ მიუწევდა.

დიტო გოჩოლეიშვილი ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. იგი წარმატებით იკვლევდა საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიულ საკითხებს. იგი მრავალი სამეცნიერო გამოკვლევის ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია მონოგრაფიები: “ეგვიპტე-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIII-XIV სს.)” და “XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ”. მეცნიერმა შეისწავლა არაბული წყაროები, რომლებშიც დახასიათებულია საქართველო, მისი ისტორიის ესა თუ ის მომენტი. აღსანიშნავია ამ მხრივ სამი არაბი ავტორის: ალ-‘უმარის (1301-1340), ალ-მუჰიბის (გარდ. 1384წ.) და ალ-კაშკაშანდის (1335-1418) ცნობები საქართველოს შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებოა

საქართველოს მეფეებთან ეგვიპტის მამლუქი სულთნების მიმოწერის ნიმუშები, საქართველოსთან ჰულაგუიანთა ირანის ურთიერთობის ფაქტები, აგრეთვე ცნობები იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და სირია-პალესტინაში ჩასული ქართველი პილიგრიმების შესახებ.

სტუდენტებისათვის დიტო გოჩოლეიშვილმა გამოაქვეყნა “სპეციალური საკითხავი წიგნი არაბულში”, რომელსაც იყენებენ ყველა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ასწავლიან არაბულ ენას. აღსანიშნავია დიტო გოჩოლეიშვილის ნარკვევი “თანამედროვე ერაყი”, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი ეს, დღეისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი არაბული ქვეყანა.

დ. გოჩოლეიშვილმა ქართულ ენაზე თარგმნა თანამედროვე არაბული ლიტერატურის ნიმუშები. 2004 წელს მან გამოაქვეყნა “ქართულ-არაბული სასაუბრო (სირიული დიალექტი)”, რომელიც მაღალპროფესიონალურად არის შედგენილი და მოსახერხებელია პრაქტიკული გამოყენებისთვის.

“პერსპექტივა - XXI”-ს წინამდებარე გამოცემა ეძღვნება დიტო გოჩოლეიშვილის ხსოვნას, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა არის საუკეთესო მაგალითი ახალგაზრდა არაბისტებისთვის.

აქვე ვაქვეყნებთ მეცნიერის შრომების ბიბლიოგრაფიას:

1975

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან (XIII ს-ის 70-იანი წლები),

მაცნე, იაეხის სერია №4, 108-111.

1976

იბნ ად-დავადარი 1312/13 წლის ქართველთა ერთი ლაშქრობის შესახებ,

საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I, 106-112.

1977

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XIV ს. I ნახევარი),

თსუ შრომები, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია №184, 257-285.

1978

საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობათა შუქზე XIII-XIV

საუკუნეებში, მაცნე, იაეხის

სერია №1, 100-111.

“Из истории Египетско-Грузинских взаимоотношений (XIII-XIV вв.)”, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1978, 3-27.

1980

ახალგაზრდა თურქთა რეკოლუცია და ერაყი, საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა II რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თსუ.

1982

თანამედროვე ერაყი, მეცნიერება, 3-57.

1983

„შეგლი ერისთავთას“ ერთი ცნობის დათარიღებისათვის, ახლო აღმოსავლური კრებული, მეცნიერება, 107-112.

1984

ერთი ეპიზოდი საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XIV ს. 80-90-იანი წლები), კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

1985

Арабские материалы по политическим взаимоотношениям Грузии с мамлюкским Египтом, IV Всесоюзная конференция арабистов, тезисы докладов, Ереван.

არაბული წყაროების „ქართველთა უფლისწული“ (XIV ს-ის 80-90-იანი წლები), მაცნე, იაეხის სერია №2, 136-141.

1988

XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ (ალ-‘უმარი, ალ-მუჰიბი და ალ-კაშკაშანდი) არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა, მეცნიერება, 1-78.

საკითხავი წიგნი არაბულში, თსუ-ს გამომცემლობა.

1990

Материалы по политическим взаимоотношениям Грузии с мамлюкским Египтом, Проблемы современной советской арабистики, II, Ереван.

2004

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს. I მეოთხედში, ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის კრებული.

ქართულ-არაბული სასაუბრო (სირიული დიალექტი), საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაცია, თბილისი, 3-103.